საქართველოს მთავრობის

დადგენილება №92

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესის (პროგრამის) დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესი (პროგრამა)“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესით (პროგრამით)“ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის“ (პროგრამული კოდი: 31 02) პროგრამის „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 02 06) ქვეპროგრამის ფარგლებში.

მუხლი 3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესი (პროგრამა)

მუხლი 1. პროგრამის ამოცანები და მიზნები

1. „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის რეგულირების დროებითი წესი (პროგრამა)“ (შემდგომში – პროგრამა) წარმოადგენს 2027-2028 წლების სახელმწიფო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ძაღლების მიკვლევადობას და ცოფის პრევენციას, ძაღლების პოპულაციის მართვის ღონისძიებების განხორციელებით.

2. პროგრამა მოიცავს ჰუმანური მეთოდებით ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვაში პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის ღონისძიებებს (დანართი №1 – 2027 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები; დანართი №2 – 2028 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები) და ითვალისწინებს:

ა) უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, ანტირაბიულ ვაქცინაციას, სტერილიზაციას/კასტრაციას, საჭიროების შემთხვევაში, ლეიშმანიოზზე და ჭირზე ტესტირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ ღონისძიებებს;

ბ) პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას და ძუ ძაღლების იდენტიფიკაცია-

რეგისტრაციას და სტერილიზაციას.

3. პროგრამის მიზანია:

ა) ცხოველებში ჰიპერპოპულაციის მართვა, დაავადების გადაცემის პრევენცია, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაცია.

მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და მუნიციპალიტეტები, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინირებით.

2. ქ. თბილისში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების პოპულაციის მართვას, სააგენტოსთან კოორდინაციით, ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, მის მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უპატრონო/მიკედლებული ძაღლების პოპულაციის მართვას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების უფლებამოსილი ორგანოები, მათ მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ახორციელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერას.

5. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 3. 2027 წლის პროგრამის პირობები

1. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) კარდაკარ პრინციპით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ანტირაბიული ვაქცინაციის პარალელურად, სავარაუდოდ 102 092 პატრონიანი ძაღლის იდენტიფიკაცია (მიკროჩიპის გამოყენებით) და მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია;

ბ) პატრონიანი ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სავარაუდოდ 13 619 ძუ ძაღლის სტერილიზაცია (მომსახურების შესყიდვით) და საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია.

2. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, კასტრაცია/სტერილიზაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირება (ლეიშმანიოზი, ჭირი) ჩაუტარდება, სავარაუდოდ, 37 500 უპატრონო/მიკედლებულ ძაღლს, საიდანაც:

ა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის, კასტრაციის/სტერილიზაციის და, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირების (ლეიშმანიოზი, ჭირი) ჩატარების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდება არაიდენტიფიცირებული უპატრონო/მიკედლებული ძაღლის დაჭერა და შემდეგ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრებში გადაყვანა:

ა.ა) მცხეთა-მთიანეთის მხარიდან – ქ. თბილისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ბ) კახეთის მხარიდან – გურჯაანის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.გ) ქვემო ქართლის მხარიდან – გურჯაანის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ან ქვემო ქართლის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.დ) შიდა ქართლის მხარიდან – გორის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ე) სამცხე-ჯავახეთის მხარიდან – გორის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ან სამცხე-ჯავახეთის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ვ) იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარიდან – ქ. ქუთაისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ზ) სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარიდან – ქ. ქუთაისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.თ) გურიის მხარიდან – ქ. ბათუმის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში;

ბ) საყურე ნიშნით იდენტიფიცირებადი უპატრონო/მიკედლებული ძაღლების ანტირაბიული ვაქცინაცია სააგენტოს მიერ განხორციელდება დაჭერის ადგილზე, თავშესაფარში გადაყვანის გარეშე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, სააგენტოს მიერ განხორციელდება ძაღლების იმავე ლოკაციაზე დაბრუნება, სადაც მოხდა თავდაპირველად მათი დაჭერა.

4. სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტების შერჩევით, სააგენტოს მიერ განხორციელდება თავშესაფრების მშენებლობა/მოწყობა.

5. ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, გურჯაანის, გორის მუნიციპალიტეტებისთვის და სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის დანართ №1-ის შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) საჭირო ვაქცინების, საყურე ნიშნებისა და სხვა აუცილებელი მატერიალური ფასეულობის შესყიდვა და გადაცემა;

ბ) თავშესაფრის სპეციალისტების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად და შესყიდვების განსახორციელებლად თანხების გადარიცხვა.

6. ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, გურჯაანის, გორის და სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის შესაბამისი ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრების მიერ განხორციელდება:

ა) სააგენტოს მიერ მიყვანილი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, საჭიროების შემთხვევაში, ჭირზე და ლეიშმანიოზზე გამოკვლევა, პოსტოპერაციული დაყოვნების შემდგომ, ძაღლების სააგენტოსთვის გადაცემა, მათ გარემოში დაბრუნების მიზნით და შესრულებული სამუშაოების შესახებ მონაცემების აღრიცხვა (მათ შორის, მონაცემთა ერთიან ბაზაში);

ბ) დამატებით შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტების (ვეტერინარი, ვეტერინარი ტექნიკოსი, კინოლოგი, სანიტარი) აყვანა.

7. ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს მიერ, განხორციელდება საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია:

ა) პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება;

ბ) ძაღლების სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კასტრაციის/სტერილიზაციის და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობის თაობაზე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება;

გ) ქუჩაში მიტოვებული ძაღლებისგან გამოწვეულ საფრთხეებზე და პასუხისმგებლობის ზომებზე ინფორმაციის მიწოდება.

8. სააგენტოს მიერ საინფორმაციო კამპანიის განხორციელების მხარდაჭერას, უფლებამოსილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და მუნიციპალიტეტები.

9. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფს უცხოელი ან/და ადგილობრივი ექსპერტების/სპეციალისტების პროგრამაში ჩართვას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 04.06.2026წ.

მუხლი 4. 2028 წლის პროგრამის პირობები

1. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) კარდაკარ პრინციპით, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პარალელურად, სავარაუდოდ 40 837 პატრონიანი ძაღლის იდენტიფიკაცია (მიკროჩიპის გამოყენებით) და მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია;

ბ) პატრონიანი ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სავარაუდოდ 13 619 ძუ ძაღლის სტერილიზაცია (მომსახურების შესყიდვით) და საჭიროების შემთხვევაში, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია.

2. მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, კასტრაცია/სტერილიზაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირება (ლეიშმანიოზი, ჭირი) ჩაუტარდება, სავარაუდოდ, 38 401 უპატრონო/მიკედლებულ ძაღლს, საიდანაც:

ა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის, კასტრაციის/სტერილიზაციის და, საჭიროების შემთხვევაში, ტესტირების (ლეიშმანიოზი, ჭირი) ჩატარების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელდება არაიდენტიფიცირებული უპატრონო/მიკედლებული ძაღლის დაჭერა და შემდეგ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფრებში გადაყვანა:

ა.ა) მცხეთა-მთიანეთის მხარიდან – ქ. თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ბ) კახეთის მხარიდან – გურჯაანის მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.გ) შიდა ქართლის მხარიდან – გორის მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.დ) იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარიდან – ქ. ქუთაისის მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ე) გურიის მხარიდან – ქ. ბათუმის მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ვ) ქვემო ქართლის მხარიდან – ქვემო ქართლის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.ზ) სამცხე-ჯავახეთის მხარიდან – სამცხე-ჯავახეთის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ა.თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარიდან – სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სააგენტოს მიერ აშენებულ მუნიციპალურ თავშესაფარში;

ბ) საყურე ნიშნით იდენტიფიცირებადი უპატრონო/მიკედლებული ძაღლების ანტირაბიული ვაქცინაცია სააგენტოს მიერ განხორციელდება დაჭერის ადგილზე, თავშესაფარში გადაყვანის გარეშე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, სააგენტოს მიერ განხორციელდება ძაღლების იმავე ლოკაციაზე დაბრუნება, სადაც მოხდა თავდაპირველად მათი დაჭერა.

4. შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის დანართი №2-ის შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელდება:

ა) საჭირო ვაქცინების, საყურე ნიშნებისა და სხვა აუცილებელი მატერიალური ფასეულობის შესყიდვა და გადაცემა;

ბ) თავშესაფრის სპეციალისტების შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად და შესყიდვების განსახორციელებლად თანხების გადარიცხვა.

5. ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრების მიერ განხორციელდება:

ა) სააგენტოს მიერ მიყვანილი ძაღლების კასტრაცია/სტერილიზაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, საჭიროების შემთხვევაში ჭირზე და ლეიშმანიოზზე გამოკვლევა, პოსტოპერაციული დაყოვნების შემდგომ, ძაღლების სააგენტოსთვის გადაცემა, მათ გარემოში დაბრუნების მიზნით და შესრულებული სამუშაოების შესახებ მონაცემების აღრიცხვა (მათ შორის, მონაცემთა ერთიან ბაზაში);

ბ) დამატებით შესაბამისი რაოდენობის სპეციალისტების (ვეტერინარი, ვეტერინარი ტექნიკოსი, კინოლოგი, სანიტარი) აყვანა.

6. ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს მიერ, განხორციელდება საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია:

ა) პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართულობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება;

ბ) ძაღლების სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, კასტრაციის/სტერილიზაციის და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის აუცილებლობის თაობაზე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება;

გ) ქუჩაში მიტოვებული ძაღლებისგან გამოწვეულ საფრთხეებზე და პასუხისმგებლობის ზომებზე ინფორმაციის მიწოდება.

7. სააგენტოს მიერ საინფორმაციო კამპანიის განხორციელების მხარდაჭერას, უფლებამოსილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და მუნიციპალიტეტები.

8. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფს უცხოელი ან/და ადგილობრივი ექსპერტების/სპეციალისტების პროგრამაში ჩართვას.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 04.06.2026წ.

მუხლი 5. მონიტორინგი

1. სააგენტოს მოთხოვნით, პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდებას საანგარიშო წლის მიხედვით.

2. საანგარიშო წელს დარჩენილი გაუხარჯავი ფულადი თანხები მუნიციპალიტეტების მიერ ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას.

მუხლი 6. განხორციელების ვადები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2027 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დანართი №1

2027 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

	მუნიციპალიტეტები	პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია- რეგისტრაცია და ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა	პატრონიანი ძუ ძაღლების სტერილიზაციის სავარაუდო რაოდენობა	უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია- რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა
1	ქარელი	1414	189	4,675
2	გორი	1979	264	
3	კასპი	1445	193	
4	ხაშური	1321	176	
4	**შიდა ქართლი**	**6159**	**822**	**4,675**
1	გურჯაანი	3122	416	5,075
2	სიღნაღი	2471	330	
3	დედოფლისწყარო	1620	216	
4	თელავი	1819	243	
5	ახმეტა	1061	142	
6	ყვარელი	1467	196	
7	ლაგოდეხი	1635	218	
8	საგარეჯო	2448	326	
8	**კახეთი**	**15643**	**2087**	**5,075**
1	ხონი	2107	281	
2	ვანი	3710	495	

3	ბაღდათი	2019	269	
4	ზესტაფონი	3207	428	
5	თერჯოლა	3022	403	
6	ტყიბული	2116	282	3,775
7	ხარაგაული	1814	242	
8	ჭიათურა	1852	247	
9	წყალტუბო	2542	339	
10	სამტრედია	3819	509	
11	საჩხერე	1912	256	
12	ქ. ქუთაისი	0	0	
12	**იმერეთი**	**28120**	**3751**	**3,775**
1	ახალქალაქი	1636	218	
2	ახალციხე	883	118	
3	ადიგენი	815	109	5,275
4	ასპინძა	663	88	
5	ნინოწმინდა	1217	162	
6	ბორჯომი	888	119	
6	**სამცხე-ჯავახეთი**	**6102**	**814**	**5,275**
1	ამბროლაური	954	127	
2	ონი	374	50	1,250
3	ცაგერი	911	122	
4	ლენტეხი	386	51	
4	**რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**	**2625**	**350**	**1,250**
1	ზუგდიდი	5375	717	
2	წალენჯიხა	1244	166	
3	ხობი	3111	415	
4	ჩხოროწყუ	2161	288	
5	მარტვილი	1342	179	4,525
6	აბაშა	2762	368	
7	სენაკი	3002	400	

8	მესტია	482	65	
9	ფოთი	0	0	
9	**სამეგრელო-ზემო სვანეთი**	**19479**	**2598**	**4,525**
1	ოზურგეთი	4835	645	2,500
2	ლანჩხუთი	1960	261	
3	ჩოხატაური	1325	177	
3	**გურია**	**8120**	***1083***	**2,500**
1	რუსთავი	0	0	5,550
2	მარნეული	1366	182	
3	ბოლნისი	1158	154	
4	წალკა	987	132	
5	დმანისი	1544	206	
6	თეთრიწყარო	1245	166	
7	გარდაბანი	1806	241	
7	**ქვემო ქართლი**	**8106**	**1081**	**5,550**
1	მცხეთა	1510	201	4,875
2	თიანეთი	988	132	
3	ყაზბეგი	420	56	
4	დუშეთი	1229	165	
4	**მცხეთა-მთიანეთი**	**4147**	**554**	**4,875**
1	ბათუმი	0	0	0
2	ქობულეთი	1668	223	
3	ხელვაჩაური	871	116	
4	ქედა	440	59	
5	შუახევი	159	21	
6	ხულო	453	60	
6	**აჭარა**	**3591**	**479**	**0**
1	**თბილისი**	**0**	**0**	**0**
64	**სულ**	**102,092**	**13,619**	**37,500**

მუნიციპალიტეტებისთვის გათვალისწინებული თანხები

მუნიციპალიტეტი	თავშესაფრის პერსონალის შრომის ანაზღაურება	სხვადასხვა მომსახურების (გაზი, ასინირაცია) შესყიდვა	მედიკამენტების/ საოპერაციო სახარჯი მასალისა და ცხოველის საკვების შესყიდვა	ავტოსამრეცხაოს მოწყობა/ საოპერაციო მაგიდისა და სხვა მოწყობილობების შესყიდვა
გურჯაანი	840,466	118,000	601,694	-
ქვემო ქართლის შესაბამისი მუნიციპალიტეტი				71,000
სამცხე-ჯავახეთის შესაბამისი მუნიციპალიტეტი	840,466	118,000	563,469	71,000
გორი				-
ქ. ქუთაისი	840,466	118,000	540,817	-
სამეგრელო-ზემო სვანეთის შესაბამისი მუნიციპალიტეტი				71,000
ქ. ბათუმი	122,452	-	141,575	-
ქ. თბილისი	242,242	-	276,071	-

დანართი №2

2028 წლის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

	მუნიციპალიტეტები	პატრონიანი ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა	პატრონიანი ძუ ძაღლების სტერილიზაციის სავარაუდო რაოდენობა	უპატრონო/მიკედლებული ძაღლების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაცია/კასტრაციის, ანტირაბიული ვაქცინაციის სავარაუდო რაოდენობა
1	ქარელი	566	189	4,787
2	გორი	792	264	
3	კასპი	578	193	
4	ხაშური	528	176	
4	შიდა ქართლი	**2,464**	**822**	**4,787**

1	გურჯაანი	1249	416	
2	სიღნაღი	988	330	
3	დედოფლისწყარო	648	216	
4	თელავი	728	243	5,197
5	ახმეტა	424	142	
6	ყვარელი	587	196	
7	ლაგოდეხი	654	218	
8	საგარეჯო	979	326	
8	**კახეთი**	**6257**	**2087**	**5,197**
1	ხონი	843	281	
2	ვანი	1484	495	
3	ბაღდათი	808	269	
4	ზესტაფონი	1283	428	
5	თერჯოლა	1209	403	
6	ტყიბული	846	282	4,634
7	ხარაგაული	726	242	
8	ჭიათურა	741	247	
9	წყალტუბო	1017	339	
10	სამტრედია	1526	509	
11	საჩხერე	765	256	
12	ქ. ქუთაისი	0	0	
12	**იმერეთი**	**11,248**	**3751**	**4,634**
1	ახალქალაქი	654	218	
2	ახალციხე	353	118	
3	ადიგენი	326	109	5,402
4	ასპინძა	265	88	
5	ნინოწმინდა	488	162	
6	ბორჯომი	355	119	
6	**სამცხე-ჯავახეთი**	**2441**	**814**	**5,402**
1	ამბროლაური	382	127	
2	ონი	150	50	1,280

3	ცაგერი	364	122	
4	ლენტეხი	155	51	
4	**რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**	**1051**	**350**	**1,280**
1	ზუგდიდი	2150	717	
2	წალენჯიხა	498	166	
3	ხობი	1244	415	
4	ჩხოროწყუ	864	288	
5	მარტვილი	537	179	3,866
6	აბაშა	1105	368	
7	სენაკი	1200	400	
8	მესტია	193	65	
9	ფოთი	0	0	
9	**სამეგრელო-ზემო სვანეთი**	**7,791**	**2598**	**3,866**
1	ოზურგეთი	1934	645	
2	ლანჩხუთი	784	261	2,560
3	ჩოხატაური	530	177	
3	**გურია**	**3248**	**1083**	**2,560**
1	რუსთავი	0	0	
2	მარნეული	546	182	
3	ბოლნისი	463	154	
4	წალკა	395	132	5,683
5	დმანისი	618	206	
6	თეთრიწყარო	498	166	
7	გარდაბანი	722	241	
7	**ქვემო ქართლი**	**3242**	**1081**	**5,683**
1	მცხეთა	604	201	
2	თიანეთი	395	132	4,992
3	ყაზბეგი	168	56	
4	დუშეთი	492	165	
4	**მცხეთა-მთიანეთი**	**1659**	**554**	**4,992**
1	ბათუმი	0	0	

2	ქობულეთი	667	223	
3	ხელვაჩაური	348	116	0
4	ქედა	176	59	
5	შუახევი	64	21	
6	ხულო	181	60	
6	**აჭარა**	**1436**	**479**	**0**
1	**თბილისი**	0	0	**0**
64	**სულ**	**40,837**	**13,619**	**38,401**

მუნიციპალიტეტებისთვის გათვალისწინებული თანხები

მუნიციპალიტეტი	თავშესაფრის პერსონალის შრომის ანაზღაურება	სხვადასხვა მომსახურების (გაზი, ასინირაცია) შესყიდვა	მედიკამენტები/ საოპერაციო სახარჯი მასალისა და ცხოველის საკვების შესყიდვა
გურჯაანი	325,030	118,000	294,306
ქვემო ქართლის შესაბამისი მუნიციპალიტეტი	1,057,080	118,000	321,828
სამცხე-ჯავახეთის შესაბამისი მუნიციპალიტეტი	1,057,080	118,000	305,915
გორი	325,030	118,000	271,088
ქ. ქუთაისი	1,057,080	118,000	218,932
სამეგრელო-ზემო სვანეთის შესაბამისი მუნიციპალიტეტი	325,030	118,000	334,910
ქ. ბათუმი	190,333	100,000	144,973
ქ. თბილისი	266,466	-	282,697